

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“გ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

 ზურაბ ბუცბურიკიძე

„15“ 11 „ 2013 წელი

ეგზ. № 2

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში
სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული პროექტების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 39/00

2013 წელი

სარჩევი

შესავალი.....	3
აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	8
წყლის სისტემები.....	8
პოლიეთილენის მილების შესყიდვა.....	8
სასმელი წყლის ქსელის მოწყობა - რეაბილიტაცია	9
გამოუყენებელი წყლის მილები.....	10
გზების რეაბილიტაცია	11
გზის მოხრეშვა, კიუეტის გაჭრა	11
გზის მოსწორება მთის ნაშალით.....	13
სარიტუალო დარბაზები	14
ყოფილი სკოლის შენობის რემონტი	14
ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი	15
მანქანა-მექანიზმები	15
მასალების ტრანსპორტირება	16
ერთეულის გაზრდილი ფასი და არითმეტიკული უზუსტობა.....	17
თემებში დაფუძნებული ა(ა)იპ-ები.....	19
მიზნობრიობის კრიტერიუმები	20
პირობითი მოსაზრება.....	21
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	22
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:	22

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- დასკვნის გაცემა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ

კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლობიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ყოველწლიურად მტკიცდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და ამ საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას.

სოფლის პროგრამების მეშვეობით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ძირითადად ფინანსდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. აღნიშნულ თანხა ტრანსფერის სახით ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში და მას განკარგავს მუნიციპალიტეტი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება პროგრამის ძირითადი მიზნები,

დაფინანსების წყაროები, პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა. დადგენილების მიხედვით, პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- ✓ პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად (ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვ.);
- ✓ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- ✓ მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება;
- ✓ თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელება.

თითოეული სოფლისათვის გამოსაყოფი თანხის გაანგარიშება ხდება მთავრობის დადგენილების შესაბამისად, რის შემდეგაც საქართველოს მთავრობა გამოსცემს განკარგულებას თანხების გამოყოფის შესახებ. 2011-2012 წლებში მიღებული დადგენილებების მიხედვით, პროგრამით გამოყოფილი თანხები გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი მიზნობრიობით:

- შესყიდულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება და არ უნდა იყოს მიმართული მოკლევადიანი მოხმარებისათვის.
- სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.
- განსახორციელებელი პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში თანხის გამოყოფის შემდეგ, თემის რწმუნებული იწვევს სოფლის საერთო კრებას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა განიხილავს სოფლისათვის მნიშვნელოვან

საკითხებს, რომელთაგან კენჭისყრით შეირჩევა პრიორიტეტები. მიღებული გადაწყვეტილება აისახება კრების ოქმში, რომელიც ეგზავნება მუნიციპალიტეტს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების პროექტ-ხარჯთაღრიცხვას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს კერძო ფირმები, განხორციელებული შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად.

პროექტის შედგენის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მიერ სოფლების მიხედვით შეირჩევიან მიმწოდებლები და მათთან გამარტივებული შესყიდვის გზით, ფორმდება ხელშეკრულებები. დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფინანსური უზრუნველყოფა

2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოეყო 1 219.6 ათასი ლარი¹. საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომლებიც გახარჯულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, განაწილებულია მუნიციპალიტეტში შემავალ 81 სოფელსა და 1 დაბაზე (19 თემი).

გამოყოფილი და ათვისებული თანხები (2011-2012 წწ.)

(ათასი ლარი)


პერიოდი	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	ათვისებული თანხა
2011	555.1	551.6	3.5
2012	664.5	641.6	22.9
სულ	1 219.6	1 193.2	26.4

¹ 2011 წელი - 555.1 ათასი ლარი, 2012 წელი - 664.5 ათასი ლარი.

სააუდიტო პერიოდში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი აუთვისებელი თანხა 26.4 ათასი ლარი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახულია გარდამავალ ნაშთად, რომელიც შემდგომ პერიოდში უნდა გამოყენებულიყო შესაბამისი სოფლის პროექტების დასაფინანსებლად².

2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სულ განახორციელა 190 გამარტივებული შესყიდვა. მათ შორის, 2011 წელს - 98, ხოლო 2012 წელს - 92 შესყიდვა³.

ინფორმაცია, სულ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ (ათასი ლარი)



² ფინანსთა მინისტრის წერილი №04-03/85546; 31.12.12; №04-03/55514; 28.12.11.

³ რამდენიმე შემთხვევაში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გაერთიანებულია 2-3 სოფელი.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

წყლის სისტემები

2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გახარჯულ იქნა 427.9 ათასი ლარი, აქედან, წყლის მილების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 50.1 ათას ლარს.

პოლიეთილენის მილების შესყიდვა

2012 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სოფლებისათვის - პატარა ირაგა, ძველი და ახალი მარაბდა და ჯიგრაშენი, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებები გაფორმდა შპს „ლელასთან“. სოფელ პატარა ირაგაში⁴ სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 7.6 ათასი ლარი, სოფ. ჯიგრაშენში⁵ - 5.8 ათასი ლარი და მარაბდაში⁶ - 11.5 ათასი ლარი.

სოფელ პატარა ირაგასა და ჯიგრაშენში წყლის სისტემის მოსაწყობად შეძენილია პოლიეთილენის მილი (d=50მმ), რომლის მასალის ერთეულის ფასმა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეადგინა 7.5 ლარი, ხოლო სოფელ ძველი და ახალი მარაბდისათვის შეძენილი ანალოგიური პარამეტრების პოლიეთილენის მილის (d=50მმ) ღირებულებამ შეადგინა 2.3 ლარი⁷. ხარჯთაღრიცხვა სამივე შემთხვევაში შედგენილია საპროექტო კომპანია შპს „არქსტუდიოს“ მიერ. სოფელ პატარა ირაგასა და ჯიგრაშენში შეძენილია სულ 813 გრძ/მ პოლიეთილენის მილი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სოფელ პატარა ირაგასა და ჯიგრაშენისათვის სასმელი წყლის სისტემის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში დაშვებული შეცდომის გამო პოლიეთილენის მილის⁸

⁴ ხელშეკრულება №80; 24.04.2012.

⁵ ხელშეკრულება №89; 11.05.2012.

⁶ ხელშეკრულება №162; 01.08.2012.

⁷ ანალოგიური ფასი ფიქსირდება 2012 წლის განმავლობაში სხვა მიმწოდებლების მიერ იმავე პარამეტრის პოლიეთილენის მილის შეძენისას.

⁸ 813 გრძ/მ, d=50მმ.

ღირებულება გაიზარდა სულ 5.3 ათასი ლარით, რადგან ხარჯთაღრიცხვებში პოლიეთილენის მილის მასალის ერთეულის ფასი 2.3 ლარის ნაცვლად ნაჩვენებია 7.5 ლარი. აღნიშნული თანხა შემდგომში, გამგეობის მიერ ანაზღაურებულ იქნა აღნიშნული სამუშაოების შემსრულებელ ფირმა შპს „ლელასათვის“.

სასმელი წყლის ქსელის მოწყობა - რეაბილიტაცია

2011 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა ი/მ „გოჩა დოლიძესთან“ გააფორმა ორი ხელშეკრულება⁹ სოფელ დიდი თონეთისათვის წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე. ორივე ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 21.6 ათასი ლარი. ანალოგიური სამუშაოების შესყიდვაზე მუნიციპალიტეტმა დამატებით გააფორმა ხელშეკრულება¹⁰ ა(ა)იპ „თონეთი 2009“-სთან, სახელშეკრულებო ღირებულებით 14.0 ათასი ლარი.

აღნიშნული სამუშაოს ფარგლებში ი/მ „გოჩა დოლიძესთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესყიდული მასალის ერთეულის ფასი მეტია ა(ა)იპ „თონეთი 2009“-ის მიერ შესყიდული ერთგვაროვანი მასალის ღირებულებაზე. კერძოდ: ი/მ გოჩა დოლიძეს შეძენილი აქვს პოლიეთილენის მილი ღირებულებით¹¹ დ=75-5.6ლ, დ=50-2.45ლ, დ=32-1.15ლ; ა(ა)იპი „თონეთი 2009“-ს¹² - დ=75-3ლ, დ=50-2ლ, დ=32-0.85 ლ. აღნიშნული ფასთა სხვაობების გამო ი/მ „გოჩა დოლიძეს“ მიერ მუნიციპალიტეტისათვის მიწოდებული მასალების ღირებულება გაზრდილია 1.3 ათასი ლარით. აღნიშნულ სამუშაოებზე სამივე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვა შედგენილია საპროექტი ფირმა შპს „ამოს“ მიერ.

გამოვლენილი გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს, რომელსაც ევალება მიღებული პროექტების შემოწმება, არ აქვს შემუშავებული სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიღებულ პროექტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. აუდიტის ჯგუფის

⁹ ხელშეკრულება №73; 27.05.2011. ღირებულება 13.2 ათასი ლარი და ხელშეკრულება №132; 04.08.2011. - 8.4 ათასი ლარი.

¹⁰ ხელშეკრულება №150; 19.08.2011.

¹¹ დ=75-300გრძ.მ; დ=50-800 გრძ.მ;დ=32-500 გრძ.მ.

¹² დ=75-1500გრძ.მ; დ=50-1000 გრძ.მ; დ=32-800 გრძ.მ.

მოსაზრებით, იმ პროექტებზე, რომლებიც არ მოითხოვს კონკრეტული სფეროს სპეციალისტების მონაწილეობას, შესაძლებელი იქნებოდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოემზადებინა არა კერძო კომპანიას, არამედ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს, რითაც დაიზოგებოდა პროექტირებაზე გაწეული ხარჯები¹³.

გამოყენებული წყლის მიღები

2011 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა¹⁴ ი/მ „გიორგი ჭარხალაძესთან“ სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ღირებულებით - 18.4 ათასი ლარი (სოფლების - ლოუბანისათვის 70 მმ დიამეტრის 4585 გრძ/მ, ნაპილნარისათვის 40მმ - 2 532 გრძ/მ და მარაბდისათვის 50მმ - 361 გრძ/მ მილების მიწოდება).

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებელმა სოფელ ლოუბანისათვის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიაწოდა 12.8 ათასი ლარის ღირებულების 4 585 გრძ/მ პოლიეთილენის მილი. გამგეობამ მილები შესანახად გადასცა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს, მიღება-ჩაბარების წესით, თუმცა მასზე სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა, რითაც არ არის დაცული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანება¹⁵.

2012 წელს იმავე პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული პოლიეთილენის მილის ნაწილი - 490 გრძ/მ იქნა გამოყენებული, ხოლო დარჩენილი ნაწილი სოფლის მოსახლეობის საჭიროებისთვის არ გამოყენებიათ და დღემდე დასაწყობებულია ადგილობრივი მცხოვრების ეზოში.

¹³ 2011-2012 წლებში „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში გადახდილია სულ 24,9 ათასი ლარი.

¹⁴ ხელშეკრულება №156; 05.09.2011.

¹⁵ „მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან დადგენილი წესით იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ სასმელი წყლის მიღების შესყიდვაზე გაწეულია ხარჯი 11.4 ათასი ლარის ოდენობით, რომლით სარგებლობის საშუალება სოფლის მოსახლეობას არ ჰქონია.

გზების რეაბილიტაცია

➤ 2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გახარჯულია 229.9 ათასი ლარი. მათ შორის, ხრეშის შესყიდვაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 14.5 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი ხარჯი გაწეულია შრომის ანაზღაურებასა და მანქანა-მექანიზმებზე. გარდა ამისა, გზის მოხრეშვა-მომანდაკების სამუშაოებზე გამოიყენებოდა ადგილობრივი მთის ნაშალი, რომლის ღირებულებაც ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული არ ყოფილა. ადგილობრივი მთის ნაშალით სარგებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ნებართვა (ლიცენზია) ვერ იქნა წარმოდგენილი¹⁶.

გზის მოხრეშვა, კიუეტის გაჭრა

2011 წლის 11 ივლისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „კონსტრუქცია - XXI“-სთან, სოფლების: ერტისის, გოლთეთის, კოდისა და აბრამეთის შიდა და მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე¹⁷.

- სოფელ გოლთეთში სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 12.3 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, უნდა შესრულებულიყო 425.25 მ³ ღორღით მოხრეშვა-მომანდაკების სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების

¹⁶ დარღვეულია საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, რომლის მიხედვით, „წიაღი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე“

¹⁷ №99; ღირებულება 39.2 ათასი ლარი.

აქტში (ფორმა №2) ნაჩვენებია, რომ 425.25 მ³-ის ნაცვლად გამოყენებულ იქნა 80.25 მ³ ღორღი. დარჩენილი თანხით შესრულებულია კიუეტის (სანიაღვრე არხი) გაჭრის სამუშაოები¹⁸, სადაც გაზრდილია ღორღის ერთეულის ფასი და ნაჩვენებია არაგონივრული შრომითი დანახარჯების მოცულობა, ისე, რომ ხარჯთაღრიცხვის კორექტირება არ განხორციელებულა.

შესრულებული სამუშაოს (ფორმა №2) მიხედვით, კიუეტის გაჭრასა და ღორღით მოშანდაკების სამუშაოებზე მანქანა-მექანიზმების (ავტოგრეიდერი) ხარჯმა შეადგინა 5.6 ათასი ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურებამ - 5.8 ათასი ლარი. სოფლის რწმუნებულისა და ადგილობრივი მოსახლეობის ახსნა-განმარტებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული გზის მოხრეშვისა და კიუეტის მოწყობის სამუშაოებზე მიმწოდებელმა განახორციელა ტექნიკისა და მასალის მიწოდება, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა ეხმარებოდა მათ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯის გამოყენებაზე ვერ იქნა მტკიცებულება წარმოდგენილი. შესაბამისად, 5.8 ათასი ლარი წარმოადგენს დაუსაბუთებელ ხარჯს, რომელიც ბიუჯეტიდან სავარაუდოდ ზედმეტად არის ანაზღაურებული.

- სოფელ კოდაში, სოფლის მოსახლეობის კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 2011 წელს გამოყოფილი თანხები გამოყენებული ყოფილიყო სკოლისა და სასაფლაოსკენ მიმავალი გზების გასწორების, გასუფთავებისა და მოხრეშვის სამუშაოების დასაფინანსებლად.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შედგენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა, ღირებულებით 17.6 ათასი ლარი, რომელიც მოიცავდა მხოლოდ გზების მოხრეშვის სამუშაოებს. შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა №2) ნაჩვენებია, რომ გზის მოხრეშვის სამუშაოები გაკეთებულია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე ნაკლები მოცულობით და გაწეულია მხოლოდ შრომის ანაზღაურების ხარჯი.

¹⁸ ღორღის მოშანდაკება და კიუეტის გაჭრა ცალი მხრიდან - 535 გმ./მ.

დარჩენილი თანხით გაკეთებულია კიუეტის მოწყობა, მილის მოწყობა, ტერიტორიის გასუფთავება, რკინა-ბეტონის არხის დემონტაჟი და მონტაჟი, აგრეთვე სხვა სამუშაოები ისე, რომ კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა არ ყოფილა შედგენილი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების შეცვლა განაპირობა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნამ.

გზის მოსწორება მთის ნაშალით

2011 წლის 10 მაისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ი/მ „პაატა ჭელიძეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება¹⁹ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ კლდეისში მისასვლელი გზისა და შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ღირებულებით - 4.4 ათასი ლარი.

ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა განახორციელა სოფელ კლდეისში კიუეტის (წყალამრიდის) გაჭრა, მისასვლელი და შიდა გზების კლდის ნაშალისაგან გასუფთავება და დეფორმირებული ადგილების შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა №2) თანახმად, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის მასალის ღირებულებამ შეადგინა 1.3 ათასი ლარი.

შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ გზის მოსახრეშად ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ნაცვლად გამოყენებულია ადგილობრივი მთის ნაშალი. აღნიშნული ფაქტი დასტურდება სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის წერილობითი ახსნა-განმარტებით. შესაბამისად, 1.3 ათასი ლარი წარმოადგენს დაუსაბუთებელ ხარჯს, რომელიც სავარაუდოდ ბიუჯეტიდან ზედმეტად იქნა ანაზღაურებული.

¹⁹ ხელშეკრულება №65.

სარიტუალო დარბაზები

2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სარიტუალო შენობების მოწყობაზე გახარჯულია 241.8 ათასი ლარი. სარიტუალო შენობების მოწყობა ხორციელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, რომლის დროსაც არსებობდა სამუშაოების დაუსრულებლობის რისკი, თუ მომდევნო წელს მოსახლეობა სხვა პრიორიტეტს დაასახელებდა ან პროგრამა შეწყდებოდა.

ყოფილი სკოლის შენობის რემონტი

2012 წლის 6 ივლისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ი/მ „თამაზ აზრუმელაშვილს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება²⁰ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ქოთიშში კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო თანხით - 5.7 ათას ლარი.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშსწორების დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვა და შესრულებული სამუშაოების აქტები სარიტუალო სახლის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება გაფორმებულია კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხით.

ობიექტის ადგილზე შესწავლისას დადგინდა, რომ ყოფილი სკოლის შენობას ჩაუტარდა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები, მაგრამ დანიშნულებისამებრ არ ფუნქციონირებს. შენობაში შესახლებული არიან მოქალაქეები და იყენებენ საცხოვრებელ სახლად. სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის განმარტებით, შენობა უნდა ყოფილიყო სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილი, თუმცა სარემონტო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო, მოსახლეობა ვერ ახერხებს აღნიშნული შენობით სარგებლობას.

²⁰ ხელშეკრულება №65.

მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული შენობა, რომლისთვისაც გახარჯულია - 5.7 ათასი ლარი, დანიშნულებისამებრ არ გამოყენებულა.

ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი

2012 წლის 24 აპრილს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ლელასთან“, სოფელ დიდ ირაგაში სარიტუალო დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის თაობაზე²¹. შემსრულებელს 2012 წლის 21 მაისს წარმოდგენილი აქვს შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2), სადაც შესრულებულ სამუშაოებს დარიცხული აქვს დამატებითი ღირებულების გადასახადი - 0.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ამ პერიოდისათვის შპს „ლელა“ დღგ-ის გადამხდელად არ ყოფილა დარეგისტრირებული (დარეგისტრირდა 2012 წლის 18 აგვისტოს). აღნიშნული თანხა ბიუჯეტიდან ზედმეტადაა ანაზღაურებული.

მანქანა-მექანიზმები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამარტივებული შესყიდვების საშუალებით განხორციელებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდა „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევით²².

²¹ ხელშეკრულება №80. სამუშაოს ღირებულება 7.8 ათასი ლარი.

²² მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯების და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე“.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამარტივებული შესყიდვების დროს, ხელშეკრულებები გააფორმა მიმწოდებლებთან. მიმწოდებლები სამუშაოების შესასრულებლად ქირაობდნენ მანქანა-მექანიზმებს, ხოლო შესრულებული სამუშაოების აქტებში სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობის ღირებულებაზე დარიცხულია ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება. კერძოდ:

№	მიმწოდებელი	ხელშეკრულება			მანქანა-მექანიზმების ფაქტობრივი ხარჯი (ათასი ლარი)	დარიცხული ზედნადები და მოგება (ათასი ლარი)
		№	თარიღი	ღირებულება (ათასი ლარი)		
1	ი/მ თამაზ აზრუმელაშვილი	196	19.09.2012	12039	2284.608	330.85
2	ი/მ კობა წიკლაური	211	23.10.2012	588	231.6	33.54
3	ი/მ თამაზ აზრუმელაშვილი	214	29.10.2012	13592	634.82	91.94
4	ი/მ თემურ წიკლაური	228	05.12.2012	5769	363	52.56
5	შპს "ალგეტელები"	140	04.07.2012	12571	1888	273.5
6	შპს "ალგეტელები"	157	20.07.2012	8872	2041	295.5
7	ი/მ თამაზ აზრუმელაშვილი	158	20.07.2012	33264	3332	482.6
8	ა(ა)იპ „შეხვეტილა 2009“	181	30/08/12	22726	12884.5	2422.2
9	ა(ა)იპ „თონეთი 2009“	190	14/09/12	7436	5492.3	1032.5
	სულ			116857.0	29151.8	5015.2

2012 წლის პირველი ივლისიდან - წლის ბოლომდე, მიმწოდებლების მიერ დაქირავებულ მანქანა-მექანიზმების ღირებულებაზე დარიცხული და შემსყიდველის მიერ დაუსაბუთებლად ანაზღაურებულია ზედნადები ხარჯისა და გეგმური დაგროვების პროცენტი, სულ - 5.0 ათასი ლარი, რომელიც სავარაუდოდ, გამგეობის მიერ ბიუჯეტიდან ზედმეტად იქნა გადახდილი.

მასალების ტრანსპორტირება

2011-2012 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული სამუშაოების შესრულების აქტებში

(ფორმა №2) აღინიშნება სატრანსპორტო ხარჯების არასწორად დარიცხვის ფაქტები. კერძოდ, 2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხელშეკრულებები გააფორმა სოფლებში წყლის სისტემის, გზებისა და სარიტუალო სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. მიმწოდებლები იყვნენ: შპს „თეგი“²³, ა(ა)იპ „თონეთი 2009“²⁴, ა(ა)იპ „სოფელი ჭივჭავი“²⁵, „ალგეთელები“²⁶, შპს „სოსო-2011“²⁷ და ი/მ „ვალერიან ხუბერაშვილი“²⁸, რომელთა მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა №2) მასალების ტრანსპორტირების ხარჯი დარიცხულია ხელფასისა და მანქანა-მექანიზმების ხარჯზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მიერ დაუსაბუთებლად იქნა გადახდილი 2400 ლარი (დარიცხვებით).

2012 წლის 2 მაისს, მუნიციპალიტეტის გამგეობამ განახორციელა დაბა მანგლისში სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ი/მ „თემურ წიკლაურისგან“²⁹. შესრულებული სამუშაოების აქტებში სატრანსპორტო ხარჯის გაანგარიშებაში დაშვებული არითმეტიკული შეცდომის გამო, გამგეობის მიერ დაუსაბუთებლად იქნა გადარიცხული 170 ლარი (დარიცხვებით).

2011-2012 წლებში შესრულებული სამუშაოების აქტებში სულ დაუსაბუთებლად დარიცხულია სატრანსპორტო ხარჯი - 2570 ლარი, რომელიც გამგეობის მიერ, სავარაუდოდ, ბიუჯეტიდან ზედმეტად იქნა ანაზღაურებული.

ერთეულის გაზრდილი ფასი და არითმეტიკული უზუსტობა

2011 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებები გააფორმა სხვადასხვა ფირმებთან, რომელთა მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა №2) მითითებულია ერთეულის გაზრდილი ფასები,

²³ ხელშეკრულება №103. 20.07.2011. თანხა - 22.2 ათასი ლარი.

²⁴ ხელშეკრულება №150, 19.08.2011. თანხა - 14.0 ათასი ლარი.

²⁵ ხელშეკრულება № 64, 10.05.2011. თანხა - 11.4 ათასი ლარი.

²⁶ ხელშეკრულება №61, 11.04.2012. თანხა -18.0 ათასი ლარი; ხელშეკრულება №101, 11.07.2011. თანხა - 22.0 ათასი ლარი.

²⁷ ხელშეკრულება №81, 10.06.2011. თანხა - 49.6 ათასი ლარი.

²⁸ ხელშეკრულება №75. 31.05.2011. თანხა - 32.7 ათასი ლარი.

²⁹ ხელშეკრულება №84, 02.05.2012. თანხა - 22.2 ათასი ლარი.

ხელშეკრულებით (ხარჯთაღრიცხვით) გათვალისწინებულ ფასებთან შედარებით. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „კონსტრუქცია XXI“-თან³⁰ სოფელ კოდასა და გოლთეთში გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე და ა(ა)იპ „ჩხიკვთასთან“³¹ სოფელ ჩხიკვთაში, სარიტუალო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა №2) გაზრდილია მასალების ერთეულის ფასები. კერძოდ: შპს „კონსტრუქცია XXI“-თან ღორღის ერთეულის ფასი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 5 ლარი, შესრულებული სამუშაოს აქტებში ნაჩვენებია 8 ლარი, რითაც ღირებულება გაიზარდა 1100 ლარით (დარიცხვებით); ასევე, ა(ა)იპ „ჩხიკვთასთან“ ხელშეკრულების მიხედვით, კედლების შელესვა ქვიშა ცემენტის ხსნარით³² სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ერთეულის ფასი უნდა ყოფილიყო 6 ლარი (მასალა და ხელფასი), შესრულებული სამუშაოს აქტში წარმოდგენილია 7 ლარი. ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით ღირებულება სულ გაიზარდა 290 ლარით (დარიცხვებით).

2011 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხელშეკრულებები გააფორმა ი/მ „ალექსანდრე წიკლაურთან“³³ და ა(ა)იპ „სოფელი ჭივჭავთან“³⁴. მათ მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა №2) დაშვებულია არითმეტიკული შეცდომები. კერძოდ: ი/მ „ალექსანდრე წიკლაურის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ლოკალურ ხარჯთაღრიცხვასა და ფორმა №2-ში შესრულებული სამუშაოების თანხა არასწორად არის დაჯამებული, რის გამოც დაუსაბუთებლად არის დარიცხული ზედნადები ხარჯისა და გეგმური დაგროვების პროცენტი - 300 ლარი³⁵; ასევე, ა(ა)იპ „სოფელ ჭივჭავის“ მიერ წარმოდგენილ ფორმა №2 შედგენილია არითმეტიკული შეცდომებით, რის გამოც დაუსაბუთებლად გადახდილია 144 ლარი.

³⁰ ხელშეკრულება №99. შესყიდულია 332.3 მ³ ღორღი.

³¹ №144. თანხა 7.6 ათასი ლარი.

³² 290 მ².

³³ ხელშეკრულება №225. თანხა - 8.0 ათასი ლარი.

³⁴ ხელშეკრულება № 64. თანხა - 11.4 ათასი ლარი.

³⁵ სამუშაოების ღირებულება შესრულებული სამუშაოს აქტით 8.0 ათასი ლარი, უნდა იყოს - 7.7 ათასი ლარი.

2011 წელს შესრულებული სამუშაოების აქტებში ერთეულის გაზრდილი ფასისა და არითმეტიკული უზუსტობების გამო შესრულებელი სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 1800 ლარით. აღნიშნული თანხა გამგეობის მიერ დაუსაბუთებლად გაწეული ხარჯია, რაც ბიუჯეტიდან სავარაუდოდ ზედმეტად იქნა ანაზღაურებული.

თემებში დაფუძნებული ა(ა)იპ-ები

2011-2012 წლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით, ზოგ შემთხვევაში სამუშაოებს ახორციელებდნენ ფიზიკური პირების მიერ დაფუძნებული და მათ გამგებლობაში მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. აღნიშნული ა(ა)იპ-ები არის შექმნილი სხვადასხვა თემის მოსახლეობის მიერ და სამუშაოებს ახორციელებენ მხოლოდ თავიანთი თემის ტერიტორიაზე.

„სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში აღნიშნული იურიდიული პირების საქმიანობის შესწავლით დადგინდა, რომ 2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 15 ა(ა)იპ, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთარი ქონება (შენობა-ნაგებობები, მანქანა-მექანიზმები), არ დგებოდა წლიური ბიუჯეტი, არ ხორციელდებოდა რაიმე სახის პროექტისა და გეგმის შემუშავება. ა(ა)იპ-ების წესდებით განსაზღვრული ფუნქციებიდან, შესრულებულია მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნულ პერიოდში ა(ა)იპ-ების მიერ შესრულებულია 224.5 ათასი ლარის სამუშაო³⁶, რაც მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხის 18.8 %-ს შეადგენს.

არის შემთხვევები, როდესაც ა(ა)იპ-ებს განხორციელებულ სამუშაოებზე მიღებული აქვთ მოგება, რომლის გამოყენების წესდებასთან შესაბამისობა ვერ დადგინდა (არ წარმოებდა ბუღალტერია).

³⁶ 2011 წელს - 72.2 ათასი ლარი; 2012 წელს - 152.3 ათასი ლარი (გზების შეკეთება, წყლის სისტემების და სარიტუალო დარბაზების მოწყობა).

მიზნობრიობის კრიტერიუმები

2011-2012 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ზოგიერთ შემთხვევაში, შესრულებულ სამუშაოებზე არ იქნა დაცული მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მიზნობრიობის კრიტერიუმები, კერძოდ:

- ✓ შესრულებული სამუშაოებით მოსახლეობის უმეტესობის სარგებლობა;
- ✓ შესრულებული სამუშაოების ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება;
- ✓ პროექტის განხორციელებაში მოსახლეობის უმეტესობის ჩართულობა.

შესრულებული სამუშაოების მიზნობრიობის კრიტერიუმები:

№	მიზნობრიობის დაცულობა	მთლიანი სამუშაოები	სრულად აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	არ აკმაყოფილებს	უხარისხობის გამო ვერ აკმაყოფილებს
	სამუშაოს ტიპი	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა
1.	წყალსადენის რეაბილიტაცია	42 - 427 887	41 – 415 087		1-12 800	
2.	გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	54 - 229 992	53 – 190 792	1-39 200		
3.	სარიტუალო მოწყობილობა	15 - 267 653	14 - 261 953		1-5 700	
4.	გაზის მილები და აქსესუარები	6 - 108 381	6 - 108 381			
5.	სკვერის და გარე განათების მოწყობა	5 - 95 692	5 - 95 692			
6.	სხვა სამუშაოები	12 - 63 662	12- 63 662			
	ჯამი	134 - 1 193 267	131 – 1 135 567	1 – 39 200	2 – 18 500	

როგორც ცხრილიდან ჩანს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ კრიტერიუმები დარღვეულია სამ შემთხვევაში, კერძოდ:

- სოფელ გოლთეთში განხორციელდა გზების მოხრეშვა და კიუეტის გაჭრა. აღნიშნულ პროექტში ადგილობრივი მოსახლეობა იყო ჩართული, თუმცა შრომის ანაზღაურება არ მიუღიათ;
- სოფელ ღოუბანში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესყიდულია წყლის პოლიეთილენის მილები, რომლითაც სოფლის მოსახლეობას არ უსარგებლია;
- სოფელ ქოთიშში გარემონტდა ყოფილი სკოლის შენობა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა პრაქტიკულად არ იყენებს.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესრულებული სამუშაოები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი:

გიორგი შურდია

ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თეა უდესიანი

ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ზურაბ ტუსკაძე

ხელმოწერა

თარიღი

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი:

გიორგი შურღაია



ხელმოწერა 14.11.2013წ. თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა 14.11.13წ. თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ზურაბ ტუსკაძე



ხელმოწერა 14.11.13წ. თარიღი